გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 318 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოში“. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 94 საკითხის განხილვაში.

ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. დავესწარი ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 20 საკითხის განხილვაში, ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 13 სხდომას მონაწილეობა მივიღე 68 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

2022 წელს ქვახვრელსა და უფლისციხეში გაკეთდა/შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- გაკეთდა ,,ჯავახიაანთ“ უბნის სასაფლაოზე მისასვლელი გზის კედელი და გზა დაიგო ბეტონის საფარით.
- სოფელ ხიდისთავის ,,ჭალის უბანში“ სტადიონამდე მისასვლელ გზაზე გაკეთდა გარე განათება.
- სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მოეწყო სკვერი და საბავშვო სივრცე.
- ,,ჩინეთის უბანში“ მოასფალტდა გზა და მიმდებარე ტერიტორია, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროექტით მიმდინარეობს საბავშვო სივრცის მოწყობა.
- ასევე მოეწყო გარე განათება უფლისციხის მუზეუმამდე
- ,,პლატფორმის უბანში“ ჩატარდა გზის სრული რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები.
- ,,აზნეთის“ გზაზე, ახლად დასახლებულ ერთ-ერთ უბანში გაკეთდა გარე განათება.
- ასევე სოფელ ხიდისთავში ავარიულ შენობებზე გაკეთდა დამცავი ღობე.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. ხიდისთავი 2023 წლის 30 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ბორის გოგიჩაიშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი თინათინ ფირანიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ბორის გოგიჩაიშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ბორის გოგიჩაიშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ბორის გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: სოლომონ მიდელაშვილმა და ნინო გურგენაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა.

საკრებულოს წევრი : ბორის გოგიჩაიშვილი;